

ფრენის წარმოების ზოგადი წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესის მიზანია, პარაპლანით ფრენების წარმოების პროცესში ჩართული სუბიექტებისათვის განსაზღვროს ზოგადი მოთხოვნები და მოქმედებების თანამიმდევრობა ფრენის დაწყებიდან მის დასრულებამდე. ეს წესი განსაზღვრავს იმ პირობებს, როცა მიზანშეწონილია ფრენების წარმოება და იმ გარემოებებს, როდესაც ფრენების წარმოება დაუშვებელია ან/და უნდა შეწყდეს.
2. წინამდებარე წესის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა პარაპლანით ფრენების წარმოების პროცესში ჩართული ყველა სუბიექტისთვის.
3. ეს წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
 - ა) უსაფრთხო ფრენების წარმოებისთვის აუცილებელი გარემოს განსაზღვრისა და ფრენების წარმოების დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს;
 - ბ) წინასასტარტო მომზადებასა და სტარტს/აფრენას;
 - გ) ფრენის პროცესს;
 - დ) დასაჯდომ მოედანზე დაშვებას/დაჯდომას;
 - ე) ფრენების წარმოების შეწყვეტას;
 - ვ) ინციდენტების მართვის პროცესს.

თავი II

უსაფრთხო ფრენების წარმოებისთვის საჭირო გარემოებების განსაზღვრა

მუხლი 2. ძირითადი მოთხოვნები

1. ფრენების დაწყებამდე, აუცილებელია, შეფასდეს საერთო საფრენი მოცემულობა და რისკები. შეფასებისას ფრენების წარმოების პროცესში ჩართულმა სუბიექტებმა უნდა იხელმძღვანელონ წინამდებარე წესის მოთხოვნებით და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება ფრენების წარმოების დაწყებაზე.
2. ფრენების დაწყებამდე უნდა შედგეს საფრენი გეგმა სახიფათო და აკრძალული საფრენი ზონებით, ჰაერში ურთიერთარიდებისა და ნაკადში ტრიალის მიმართულებებით. საფრენ გეგმას უნდა გაეცნოს ფრენის პროცესში მონაწილე ყველა პირი.
3. საფრენი გეგმის შედგენის თაობაზე, ფრენების დაწყებასა და დასრულებაზე მფრინავმა უნდა აცნობოს ფედერაციას და დაელოდოს მის დასტურს. დასტურის მიღებამდე ფრენის დაწყება აკრძალულია.

4. თუ ფრენებს გეგმავს სერტიფიცირებული ოპერატორი, ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულება ევალება ფრენების ხელმძღვანელს.

მუხლი 3. პარაპლანით ფრენის ძირითადი მოთხოვნები

პარაპლანით ფრენა უნდა განხორციელდეს:

- ა) მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის პერიოდში;
- ბ) ხმელეთის ზედაპირთან მუდმივი ვიზუალური კავშირის შენარჩუნებით.
- გ) ასაფრენ ტრაექტორიაზე შემხვედრი ქარის მიმართულება არ უნდა სცდებოდეს 45 გრადუსს;
- დ) რეგულარული ქარის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 25 კმ/სთ-ს, მეყსეული ქარის სიჩქარე კი - 36 კმ/სთ-ს;
- ე) ვიზუალური მხედველობის არეალი არ უნდა იყოს 3 კმ-ზე ნაკლები;
- ვ) ფრენის ტრაექტორიიდან 10 კმ-ის რადიუსში არ უნდა შეიმჩნეოდეს საავდრო ღრუბლების ფორმირება;
- ზ) ღრუბელწარმოქმნის ქვედა ზღვარი არ უნდა იყოს ასაფრენი მოედნიდან 300 მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე.

მუხლი 4. პარაპლანით ფრენის აკრძალვა

პარაპლანით ფრენა აკრძალულია:

- ა) არასერტიფიცირებული საფრენი აღჭურვილობით;
- ბ) დაზიანებული საფრენი აღჭურვილობით;
- გ) ჩაფხუტის, საკომუნიკაციო საშუალების, სერტიფიცირებული ჩასაჯდომ-ჩასაბმელი სისტემისა და სათადარიგო პარაშუტის გარეშე;
- დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული/ახალი ფსიქოაქტიური, ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
- ე) მაშინ, როდესაც ფრენისთვის გამოყენებული პარაპლანისა და სათადარიგო პარაშუტის დატვირთვის საზღვრები არ შეესაბამება რეალური დატვირთვის წონას;
- ვ) ერთადგილიანი პარაპლანით მგზავრთან ერთად;
- ზ) ორზე მეტ პირთან ერთად ორადგილიანი პარაპლანით;
- თ) PGS კატეგორიის, S და RS ქვეკატეგორიის მფლობელი მფრინავისთვის B კლასზე მაღალი კატეგორიის პარაპლანით;
- ი) ორადგილიანი პარაპლანით პირისთვის, რომელიც ფლობს მხოლოდ PGS SINGLE კატეგორიას;
- კ) ნალექიან ამინდში - წვიმის, თოვის, სეტყვის დროს;
- ლ) 3 კმ-ზე ნაკლები ხილვადობის პირობებში;

- მ) თუ აფრენისას ღრუბლიანობა აღემატება ხილვადი ცის 2/3-ს და დასაჯდომი მოედანი დაფარულია ნისლით;
- ნ) 25 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის რეგულარული და 36 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის მეყსეული ქარის პირობებში;
- ო) აფრენისას შემხვედრი ქარის მიმართულების კუთხის ცვალებადობის შემთხვევაში, როდესაც ასაფრენ მიმართულებასა და შემხვედრი ქარის მიმართულებას შორის კუთხე აღემატება 45 გრადუსს;
- პ) თუ დასაჯდომ მოედანზე შეიმჩნევა ქარბორბალას ინტენსიური ფორმირება და ამას აქვს ხშირი ხასიათი;
- ჟ) თუ ფრენის ტრაექტორიიდან 10 კმ-ის რადიუსში შეიმჩნევა საავდრო ღრუბლების ფორმირება;
- რ) თუ ასაფრენი მოედნის დახრილობა ასაფრენი ტრაექტორიის გასწვრივ აღემატება 30 გრადუსს;
- ს) თუ ასაფრენი ტრაექტორიის აფრენის წერტილიდან 30 მ-ზე ახლოს მდებარეობს:
- ს.ა) მაღალი ძაბვის ხაზები;
- ს.ბ) საბაგირო;
- ს.გ) შენობა-ნაგებობები;
- ს.დ) 5 მ-ზე მაღალი ხეები;
- ს.ე) 1 მ-ზე მაღალი ლოდები;
- ს.ვ) კლდოვანი და ლოდოვანი ხრამები;
- ს.ზ) სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რომლებზეც შეიმჩნევა ინტენსიური მოძრაობა;
- ს.თ) აეროდრომის კონტროლირებად არეში შპს „საქაერონავიგაციასთან“ შეთანხმების გარეშე;
- ს.ი) ფრენისთვის შეზღუდულ და აკრძალულ არეებში;
- ტ) თუ ერთი დღის განმავლობაში ორადგილიანი პარაპლანის მფრინავის ნაფრენი საათების რაოდენობა აღემატება ოთხ საათს.

თავი III

წინასასტარტო მომზადება და სტარტი/აფრენა

მუხლი 5. ძირითადი მოთხოვნები წინასასტარტო მომზადებისას

1. თუ წინასასტარტო მომზადება ხორციელდება სერტიფიცირებულ მოედანზე, მომზადების პროცესი უნდა წარიმართოს სტარტისთვის გამოყოფილ ადგილას სახმელეთო უზრუნველყოფის ჯგუფისა და ფრენების ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით.
2. არასერტიფიცირებულ სასტარტო მოედანებზე წინასასტარტო მომზადება უნდა განხორციელდეს ისეთ ადგილებში, სადაც მცირეა უნებლიე სტარტის ალბათობა.

მუხლი 6. წინასასტარტო მომზადება

1. მფრინავმა აფრენამდე უნდა შეამოწმოს ფრთა, ჯამბარები, სათადარიგო პარაშუტის ჩეკა და სახელური, ასევე დარწმუნდეს რადიოკავშირის გამართულ ფუნქციონირებაში.
2. მფრინავი უნდა დარწმუნდეს დამხმარე საფრენი საშუალებების გამართულ ფუნქციონირებაში.
3. მფრინავი უნდა დარწმუნდეს, რომ დამხმარე საფრენი საშუალებების კვების ელემენტების მუხტი საკმარისია ფრენის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში მისი ფუნქციონირებისათვის.
4. მფრინავმა უნდა შეაფასოს საერთო საფრენი მოცემულობა, მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე და მოსალოდნელი ამინდის, ქარის მიმართულებისა და სიჩქარის შესახებ.
5. სერტიფიცირებულ სასტარტო მოედანზე წინასასტარტო მომზადების პროცესში მფრინავმა უნდა ითანამშრომლოს ფრენის ხელმძღვანელთან და დაემორჩილოს მის მოთხოვნებს.
6. მოტორიზებული ფრენების შემთხვევაში ძრავის საცდელი გაშვებით მფრინავი უნდა დარწმუნდეს მის გამართულად მუშაობასა და საწვავის მარაგის არსებობაში.
7. წინასასტარტო მომზადება არ უნდა განხორციელდეს უშუალოდ სასტარტო პოზიციაზე.
8. ორადგილიანი ფრენების შემთხვევაში მფრინავმა მგზავრს უნდა ჩაუტაროს მოკლე ინსტრუქტაჟი, მოამზადოს ფრენისთვის, მოარგოს ჩასაჯდომი აღჭურვილობა და ჩაფხუტი.

მუხლი 7. სტარტი

1. სტარტისთვის მომზადება და აფრენა დასაშვებია წინასასტარტო მომზადების დასრულების შემდეგ, თუ მფრინავი აცხადებს სტარტისთვის მზადყოფნას. სერტიფიცირებულ სასტარტო მოედანზე აუცილებელია ფრენების ხელმძღვანელის სიტყვიერი თანხმობა მოსამზადებელი სივრციდან სასტარტო პოზიციაზე გადასვლის, სასტარტო მომზადებისა და აფრენისათვის.
2. მფრინავმა აფრენამდე უნდა აირჩიოს სწორი სასტარტო პოზიცია, გაშალოს ფრთა და, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს მითითებები სახმელეთო უზრუნველყოფის დამხმარე პერსონალს; მოირგოს საფრენი აღჭურვილობა, შეამოწმოს და დარწმუნდეს ჩაბმის ელემენტების გამართულ და სწორ ფუნქციონირებაში.
3. მფრინავმა აფრენამდე უნდა ჩართოს და მუშა მდგომარეობაში მოიყვანოს კავშირგაბმულობისა და სხვა დამხმარე საფრენი ტექნიკური ინსტრუმენტები.
4. მფრინავმა აფრენამდე უნდა გამოიყვანოს ფრთა საკუთარ ჩასაჯდომ სისტემასთან ჩაუბმელად და დარწმუნდეს ფრთის გამართულობაში.

5. მფრინავმა აფრენამდე უნდა დაათვალიეროს საჰაერო სივრცე ვიზუალურად, განსაზღვროს სწორი სასტარტო პოზიცია და დრო.
6. მფრინავმა ფრთის თავისუფალი ბოლოები უნდა დაამაგროს საკუთარ ჩასაჯდომ სისტემაზე და დარწმუნდეს ჩაბმის სისწორეში.
7. მფრინავმა უნდა განახორციელოს აფრენა მას შემდეგ, რაც სიტყვიერად განაცხადებს აფრენის მზადყოფნის შესახებ და დარწმუნდება აფრენისათვის სხვა დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობაში.
8. ორადგილიანი ფრენების შემთხვევაში მგზავრი უნდა მიაბას ორადგილიან ჩასაბმელ სისტემას, სამხრეებზე წინიდან და უნდა დარწმუნდეს ჩაბმის სისწორეში.
9. ორადგილიანი პარაპლანით ფრენისას სერტიფიცირებულ სასტარტო მოედანზე მფრინავმა მგზავრისგან უნდა მიიღოს აფრენაზე საბოლოო სიტყვიერი თანხმობა, გამოაცხადოს სტარტისთვის მზადყოფნა, დაელოდოს ფრენების ხელმძღვანელის თანხმობას და აფრინდეს.

თავი IV ფრენის პროცესი

მუხლი 8. ძირითადი მოთხოვნები

1. მფრინავი ვალდებულია, ფრენის პროცესში სრულად გაითვალისწინოს ამ წესის მოთხოვნები.
2. ფრენისას მფრინავმა მუდმივად უნდა იქონიოს ვიზუალური კონტაქტი სხვა საფრენ აპარატებთან და ხმელეთის ზედაპირთან.
3. ორადგილიანი პარაპლანით ფრენისას მფრინავმა მუდმივად უნდა აკონტროლოს მგზავრის მდგომარეობა.
4. ფრენა ხორციელდება წინასწარ გაცხადებული საფრენი გეგმისა და ტრაექტორიის შესაბამისად.
5. ერთ სიმაღლეზე შემხვედრი ტრაექტორიით მოძრავი პარაპლანების ერთმანეთის მიმართ აქცევა ხდება მარჯვნივ არიდებით. მფრინავი, რომელსაც მარჯვენა მხარეს აქვს თავისუფალი ზონა, ვალდებულია, მარჯვნივ გადაადგილებით დაუთმოს გზა შემხვედრ ტრაექტორიაზე მოძრავ პარაპლანს.
6. თერმულ ნაკადში ტრიალის მიმართულებას განსაზღვრავს ნაკადში პირველად შესული პარაპლანის ტრიალის მიმართულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფრენების ხელმძღვანელი წინასასტარტო თათბირზე ნაკადში ტრიალის მიმართულების განსხვავებულ წესს ადგენს.
7. თუ საფრენი დღის განმავლობაში ადგილი აქვს რაიმე სახის გაუთვალისწინებელ გარემოებას, მაგალითად, მკვეთრად გაუარესდა ამინდი, შპს „საქაერონავიგაციისგან“ ან ფედერაციისგან მიღებულ იქნა შეტყობინება ფრენების შეწყვეტის თაობაზე, ადგილი აქვს

პარაპლანის ჩამოვარდნით გამოწვეულ ინციდენტს და ა.შ., მფრინავები ვალდებული არიან, შეძლებისდაგვარად სწრაფად დაასრულონ ფრენა. სერტიფიცირებულ სასტარტო და დასაჯდომ მოედანზე ფრენების დასრულების შესახებ მითითება უნდა გასცეს ფრენების ხელმძღვანელმა.

8. უშუალოდ ფრენის პროცესში გამოვლენილი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მფრინავი ვალდებულია, ამის თაობაზე, შესაძლებლობის ფარგლებში, აცნობოს სხვა მფრინავებს ან ფრენების ხელმძღვანელს, თუ ფრენის წარმოება სერტიფიცირებულ საფრენ ლოკაციაზე ხდება და განახორციელოს დაჯდომა სწრაფად და უსაფრთხოდ.

მუხლი 9. აკრძალვები პარაპლანით ფრენის პროცესში

1. პარაპლანით ფრენისას აკრძალულია:

ა) რაიმე საგნების გადმოყრა ან ნივთიერებების გაფრქვევა;

ბ) ფრენა ღრუბლების სიახლოვეს ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად 300 მეტრზე ნაკლებ მანძილზე და 3 კილომეტრზე ნაკლები ხილვადობის პირობებში;

გ) კონტროლირებად საჰაერო სივრცეში შესვლა უფლებამოსილი ორგანოების თანხმობის გარეშე;

დ) სტრატეგიული და სახელმწიფო ობიექტების თავზე ფრენა;

ე) მაღალი ძაბვის გამანაწილებელი სადგურების, ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების, ჰიდროელექტროსადგურების სიახლოვეს ფრენა;

ვ) სახელმწიფო საზღვრებთან მიახლოება 5 კმ-ით ნაკლებ მანძილზე;

ზ) ფრენა ტურბულენტურ და როტორულ ზონებში;

თ) მიახლოება ვერტიკალურ კლდოვან ზედაპირებთან ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად 50 მ-ზე ახლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფრენები ხორციელდება საფრენად ვარგის ლოკაციაზე და ფედერაციის მიერ დადგენილია კლდესთან მიახლოების სხვა სიდიდეები.

2. პარაპლანით ფრენისას პირი ვალდებულია, გზა დაუთმოს ყველა სხვა საჰაერო ხომალდს.

3. ძრავიანი პარაპლანით ფრენისას პირი ვალდებულია, გზა დაუთმოს პარაპლანს ძრავის გარეშე.

4. კონტროლირებადი საჰაერო სივრცის ფარგლებში პარაპლანით ფრენა ხორციელდება მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 10. პარაპლანით ფრენის შეწყვეტის პირობები

პარაპლანით ფრენა უნდა შეწყდეს:

- ა) ამინდის მკვეთრი გაუარესებისას;
- ბ) საფრენი აღჭურვილობის დაზიანებისას;
- გ) მფრინავის ან მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას;
- დ) შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ან ფედერაციის მოთხოვნის საფუძველზე;
- ე) შპს „საქაერონავიგაციის“ მოთხოვნის საფუძველზე;
- ვ) სერტიფიცირებული საფრენი მოედნის ფრენის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე.

თავი IV

დასაჯდომ მოედანზე დაშვება/დაჯდომა

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

1. დასაჯდომ მოედანზე დაშვება/დაჯდომა ხორციელდება წინასწარ გაცხადებული საფრენი გეგმის შესაბამისად, მოცემული მეტეოროლოგიური პირობებისა და ქარის სიმძლავრის/მიმართულების გათვალისწინებით.
2. დაშვებამდე მფრინავმა ვიზუალური ორიენტირების დახმარებით უნდა განსაზღვროს ქარის მიმართულება და დაგეგმოს დაჯდომის ტრაექტორია ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით.
3. დაშვების დაწყების შემდგომ აკრძალულია მკვეთრი მანევრების შესრულება.
4. დაჯდომა უნდა განხორციელდეს ქარის მიმართულების საწინააღმდეგოდ.
5. ორადგილიანი პარაპლანით ფრენის შემთხვევაში მფრინავი ვალდებულია, დაშვების დაწყებისთანავე გააფრთხილოს მგზავრი და მოამზადოს იგი დაშვება-დაჯდომისთვის.
6. მფრინავი ვალდებულია, დაჯდომის შემდეგ მაქსიმალურად სწრაფად გაერიდოს დასაჯდომ მოედანს, რათა გაუთავისუფლოს დასაჯდომი ზონა სხვა პარაპლანებს.
7. დაუშვებელია დაჯდომა ხმელეთის იმ ზედაპირზე, სადაც გვხვდება დიდი ლოდები, სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ტურბულენტური ზონები, მჭიდრო დასახლებები. დაჯდომა აკრძალულია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების სიახლოვეს.

თავი V

მოქმედებების გეგმა ექსტრემალურ სიტუაციებში

მუხლი 12. ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის ძირითადი მოთხოვნები

1. ექსტრემალურ სიტუაციაში ითვლება ვითარება, რომელმაც პარაპლანით ფრენისას შესაძლებელია გამოიწვიოს მფრინავის ან მგზავრის დაშავება.
2. ფრენის წარმოების პროცესში ჩართულმა ყველა პირმა უნდა იცოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი (112).
3. სერტიფიცირებულ საფრენ ლოკაციაზე ექსტრემალური სიტუაციის დადგომისას, ფრენის ხელმძღვანელი ვალდებულია, ინციდენტის შესახებ აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს და ხელი შეუწყოს მათ მუშაობის პროცესში. სამსახურის თანამშრომლების ინციდენტის ადგილზე გამოცხადებამდე, უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენა.
4. თუ ინციდენტი მოხდა არასერტიფიცირებულ მოედანზე, მფრინავმა ინციდენტის თაობაზე (შესაძლებლობის ფარგლებში) უნდა შეატყობინოს სხვა მფრინავებს და აცნობოს კოორდინატები; საჭიროების შემთხვევაში, აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.
5. თუ ფრენის პროცესში მფრინავი ამჩნევს, რომ სხვა მფრინავი ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვდა, მან ინციდენტის შესახებ რადიოკავშირით უნდა აცნობოს სხვა მფრინავებს და შეძლებისდაგვარად განახორციელოს დაჯდომა და დაზარალებულს გაუწიოს პირველადი დახმარება; საჭიროების შემთხვევაში, ინციდენტის შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.
6. ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მოცემული ვითარების დადგომის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ფედერაციას.